ხაშურის მოამბე

№6 13 ივლისი, ორშაბათი, 2015 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

6 ივლისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე.

სესიაზე საკრებულოს წევრებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრე მიღებულ რამდენიმე დადგენილებაში; დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესი; მიიღეს დადგენილება საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

ამავე სესიაზე საკრებულომ თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბიუჯეტის სახსრებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის და სატელევიზიო პროექტში „ეტალონი“ გამარჯვებული მოსწავლისათვის კომპიუტერების უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. ასევე თანხმობა მიეცა სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სტატისტიკის სამსახურის შენობა) უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

სესიაზე საკრებულოს წევრებმა მოისმინეს და დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის, აგრეთვე გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები.

სესიაზე განხილული იქნა სხვა მიმდინარე საკითხებიც.

ხაშურში საჯარო რეესტრის ოფისი ოფიციალურად გაიხსნა

9 ივნისს, ხაშურში, ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე ოფიციალურად გაიხსნა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი.

ახალგარემონტებული ოფისი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, საოფისე ინვენტარითა და ინტერნეტით. დანერგილია ყველა ელექტრონული პროგრამა, რაც სარეგისტრაციო სამსახურში მოსულ მოქალაქეებს საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერი მომსახურებით, სწრაფად, მარტივად და კომფორტულად სარგებლობის საშუალებას აძლევს. სარეგისტრაციო სამსახურში ასევე ფუნქციონირებს საქართველოს ბანკი, რომლის ოპერატორები ადგილზე მოახდენენ სარეგისტრაციო მომსახურებისათვის კანონით დაწესებული საფასურის გადახდას.

ოფისის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ საჯარო რეესტრის თავმჯდომარე პაპუნა უგრეხელიძე, რეესტრის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე თევდორაძე, გუბერნიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

–სარეგისტრაციო სამსახურების რეკონსტრუქციისას განსაკუთრებულ ყურადღებას მოქალაქეთა მომსახურების დახვეწაზე ვამახვილებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქემ მომსახურება კომფორტულ გარემოში მიიღოს და ასევე, სააგენტოს მომსახურე პერსონალს მუშაობისთვის ხელსაყრელი პირობები ჰქონდეს შექმნილი. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ხაშურის ოფისს

დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთან არის

არა, ქვემოთ არც ჰემინგუეზე და არც პარიზზე არ გვინდა ვწეროთ. ამ კალსიკოსის სიტყვები სულ სხვა კონტექსტისთვის გამოვიყენეთ. იმ ფოლკლორულ დღესასწაულზე გიყვებით, რომელიც 5 ივლისს სურამში გაიმართა და ყველა აღაფრთოვანა. მართლაც საოცარი ფენომენია ქართული ფოლკლორი და ძნელად მას, მსოფლიო მასშტაბითაც კი, „ტოლ-სწორი“ მოეძებნოს. ფესტივალზე ქვემოთ მოგითხრობთ, ჩვენ კი მხოლოდ დავსძენთ: გულით ვუთანაგრძნობთ ყველას, ვინც, რაღაც მიზეზით, ამ დღესასწაულს დააკლდა, რადგან მან ბევრი დაკარგა. და ერთიც: სხვისი არ ვიცი და პირადად მე, საოცრად ამაყი ვიყავი ფესტივალის დასრულების შემდეგ. ამაყი, რომ ჩემს რაიონს შესძლებია ასეთი მასშტაბის ზეიმის მასპინძლობა.

შესძლებია და მერე როგორ! ბრწყინვალე ორგანიზება, საოცარი გარემო, შესანიშნავი ანსამბლები, აღფრთოვანებული ათასობით მაყურებელი... მათლაც დიდებული დღე იყო. ბრავო ყველას! და მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომლებმაც ეს დღესასწაული გვაჩუქეს, მადლობა კულტურის სამსახურის მთელ შემადგენლობას, რომელთა „თავზე გადაიარა“ ურთულესმა საორგანიზაციო საკითხებმა და მადლობა, რა თქმა უნდა, არტ-გენის დამფუძნებლებს, რომლებმაც გვიძღვნეს ეს საჩუქარი.

ისღა დაგვრჩენია, რომ იმედი გამოვთქვათ და ვისურვოთ, რომ ეს არ იყო ერთჯერადი საჩუქარი და სურამი მომავალ წელსაც უმასპინძლებს ამ დიდებულ დღესასწაულს.

გ. გოგოლაძე

ქართული გენის გაელვება სურამში

5 ივლისს, სურამმა დიდი პატივით მიიღო და უმასპინძლა" არტ-გენის" ფესტივალს. იმერეთის შემდეგ, ფესტივალის ორგანიზატორებმა, მთლიანად შიდა ქართლი სურამის სივრცეში მოაქციეს. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით და თანადაფინანსებით, ფესტივალი შედგა!

ხაშურის კულტურის სამსახურმა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სურამში ნამდვილი ქართული, თანამედროვე და ისტორიული საქართველო გაშლილიყო. აქ ნახავდით ტიხრული მინანქრის, თექის ნამუშევრებს, ნახატებს, ხეზე კვეთას, გობელენებს, სუვენირებს, კალიგრაფისტებს, პოეტებს საკუთრი შემოქმედებით. ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული ფოლკლორული მრავალხმიანობა, ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ანსამბლების სახით. იყო ყველაფერი ქართული... სახელდახელოდ დამცხვარი ხაჭაპურები, ურემზე გაწყობილი წითელლოყება ნაზუქები, მწვადის სუნით გაჟღენთილი სურამის ფიჭვნარი, გულწრფე-

(გაგრძელება II გვერდზე)

ჯანონთა ჯანონის შუქ-ჩრდილები

ეფეთმეფესთან კარისკაცის დაპირისპირებას ჰგავს ჩემნაირი რიგითი მოქალაქის მიერ კონსტიტუციაში დაკანონებული წესწყობილების კრიტიკა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციაში ცალკეული ცვლილებების შეტანის შესახებ, შესაძლებლად მივიჩნიე გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ისეთ ოჯახს დაემსგავსა, სადაც ყველა თავისას ყიყინებს და ვერ გაუგიათ, ოჯახის უფროსი ვინ არის. ქვეყნის დღევანდელობა სახელმწიფოებრიობის არცერთ ფორმაციას არ მიესადაგება. საბაზრო ეკონომიკის განვითარებას კაპიტალიზმის რესტავრაციას არ უწოდებენ, თუმცა, რომელ კაპიტალიზმზეა ლაპარაკი, როცა ასანთი და კალმისტარი ვერ გვიწარმოებია. ქვეყნის განვითარების ეკონომიკური საფუძვლების შექმნის ნაცვლად იმპორტით შემოგვაქვს ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ტომატი, მწნილეული, საწებლები, წვენების ნაირსახეობანი და სხვა.

გაბაზრებულ ქვეყანაში ვიგინდარებს უფლება მიეცათ ერთ ლარად გაეყიდათ ან სულაც გაეჩუქებინათ მშრომელი კაცის ოფლით შექმნილი მილიონიანი ქონებანი და ქართველი კაცის სისხლით შენარჩუნებული სამშობლოს მიწა. საუბედუროდ, საზღვარგარეთ გაედინება ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი.

ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების გამოცემა დამოკიდებული იყო ამპარტავანთა სიზმრებზე. ყველაზე ძლიერი დარტმა კი კონსტიტიციამ განიცადა. 2004 წლიდან 2013 წლამდე გამოიცა 26 კონსტიტუციური კანონი, რომლითაც კონსტიტუციის 109 მუხლიდან ცვლილებები განიცადა 66 მუხლის 140 პუნქტმა, მათგან 2010 წელს 52-მა. ვითომც ნორმალურია, როცა ყოველ წელს ცვლილებები შედის კონსტიტუციაში? ასეთი კი 2006, 2008 და 2012 წელს მოხდა ოთხ-ოთხჯერ.

რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მე-3 მუხლში მე-5 პუნქტის დამატება, სადაც ვკითხულობთ: „ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით“. სად არის ქალაქი ლაზიკა?

რა სარგებლობა მოუტანა საქართველოს 48[1] მუხლის პირველმა პუნქტმა, რომელმაც დაადგინა, რომ „საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი“. ამით დედაქალაქი გამოშიგნეს უპირველესი პოლიტიკური ფუნქციიდან და ვერც ქუთაისი გადააქციეს ზეციურ იერუსალიმად. გარდა ამისა, ჯერ არავის დაუთვლია ის მატერიალური დანახარჯი, რომელსაც იწვევს ათობით დეპუტატთა და სხვათა გადაადგილება თბილისსა და ქუთაისს შორის.

ჩემთვის სრულიად მიუღებელია კონსტიტუციის 81[3] მუხლის პირველი პუნქტი, სადაც წერია: „აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი“.

კი მაგრამ, ვინ დაყო საქართველო გუბერნიებად, რომ მის მმართველს გუბერნატორი ვუწოდოთ? ან როგორ გავიგოთ „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები?“ ყველა დასახლებული პუნქტი ან პუნქტთა ჯგუფი წარმოადგენს ასეთ ერთეულს და რაში ჭირდება საქართველოს რამდენიმე ასეული ან ათეული გუბერნატორი, ან რა უჯდება ამ გაძვალტყავებულ ქვეყანას მათი მმართველობითი აპარატების შენახვა?

თუ რუსულ გუბერნიებს ვედრებით, ისიც გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ხუთ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს და მარტო ქ. მოსკოვში ათზე მეტი. რუსეთის ნებისმიერი გუბერნია რამდენჯერმე მეტია მთელ საქართველოზე ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც.

წარსულის კრიტიკა ადვილია, მაგრამ არც მისი დავიწყება შეიძლება. გვახსოვს ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი, როგორ ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას ერთდროულად ათეულობით მოქალაქეს, რომლებსაც არავითარი განსაკუთრებული დამსახურება არ გააჩნდათ ჩვენი ქვეყნის წინაშე და არც სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა იგი, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს.

კონსტიტუციას არ ეკადრება კრიტიკა, მაგრამ როცა 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით ადგენს, რომ „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“-ო, რატომ არ ითვალისწინებენ მამათა უფლებებს, რომელსაც უნდა შვილი მოინახულოს, მაგრამ ყოფილი ანჩხლი ცოლი ამის უფლებას არ აძლევს? მგონი ეს მუხლი აქვე უნდა შესწორდეს და ჩაიწეროს რომ „მშობელთა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

ასევე, ძნელია დაეთანხმო 52-ე მუხლის პირველ პუნქტს, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია“. ისიც კი არ წერია, რომ მისი გაწვევა შეიძლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშიო. სრულიად საქართველოს წარმომადგენელი პრეზიდენტია. პარლამენტის წევრი კი მოსახლეობის მცირე ნაწილის წარმომადგენელია. იგივე მუხლის მეორე პუნქტი კრძალავს პარლამენტის წევრის დაპატიმრებას, ჩხრეკას და ა.შ. პარლამენტის ნებართვის გარეშე, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისისა.

ესეც შენი კანონის წინაშე თანასწორობა.

კანონთა კანონი ყველა საკითხს ვერ დააკონკრეტებს, ეს ცალკეული ორგანული კანონებისა და ქვესაკანონმდებლო აქტების საქმეა, მაგრამ მიუღებელია ის, რომ მრავალი დებულება ზოგადია და იძლევა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს, მაგალითად: 43-ე მუხლი ამბობს: „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი“... იქვე, მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს“. გამოდის, რომ უფლება აქვს გამოავლინოს და არა ვალდებულება. კი მაგრამ, სხვა თანამდებობის პირებს ვინ უკრძალავს ასეთის გამოვლინებას და შეტყობინებას? სახეზე გვაქვს სამართალდამცავ ორგანოთა ფუნქციებთან პარალელიზმი.

სამწუხაროდ, კონსტიტუციის ბევრი მუხლი არის ზოგადი და ბუნდოვანი, რომლის იქითაც არ იკითხება არც მოქალაქის და არც სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი. მაგ: 30-ე მუხლის პირველი პუნქტი ორად ორი სიტყვით ამბობს: „შრომა თავისუფალია“. მორჩა და გათავდა.

კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებებს, მაგრამ გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო არ კისრულობს ვალდებულებებს ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში, არამედ, ზოგადად ამბობს, რომ სახელმწიფო „მხარს უჭერს“, „ეხმარება“, „ზრუნავს, „ხელს უწყობს“ და ა.შ.

კონსტიტუციამ, მიუხედავად მრავალჯერადი ცვლილებებისა, ვერ შეძლო ხელისუფლების უმაღლეს შტოთა უფლება-მოვალეობათა იმ დონემდე გამიჯვნა, რომ თავიდან აეცილებინა ფუნქციათა აღრევა, ვეღარ გაუგიათ იერარქიის ვინ რომელ საფეხურზე დგას. ეს მოდელი, უბრალოდ, საბავშვო აიწონა-დაიწონას სათამაშოს დაემსგავსა, რაც არ იძლევა შეხმატკბილებულად მუშაობის საშუალებას.

მაგალითისთვის შეგახსენებთ რამდენიმე მუხლს. მუხლი 48 პარლამენტი „... განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“...; მუხლი 69 პრეზიდენტი „...წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში...“; მუხლი 78 საქართველოს მთავრობა „...ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას“.

ისმის კითხვა: რატომ განსაზღვრავ აბსტრაქტულად თუ არავის ავალებ კონკრეტულად, რატომ წარმოადგენ თუ ვერ ახორციელებ და როგორ ახორციელებ თუ არ წარმოადგენ?

ახლა მოკლედ შევეხები უმაღლეს თანამდებობის პირთა უფლებამოსილებათა გადახლართულობებს, მაგალითად: 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით პრეზიდენტი „კონსტიტუციით განსაზღვრულ, შემთხვევებში წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს“. 69-ე მუხლის პირველი პუნქტით პრეზიდენტი „...არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“... იგივე მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს: „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“, ხოლო იგივე მუხლის „ჟ“ პუნქტით „დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“.

ახლა ვნახოთ, როგორ არის შებოჭილი მისი უფლებამოსილებანი. ამონაწერები კონსტიტუციის 73-ე მუხლიდან: „მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობის აკრედიტაციას“;

„უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებით, პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი შეთანხმებით...“ „ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს“. 73[1] მუხლი ადგენს: „საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას“.

ბატონო მკითხველო, ზოგადი სიტყვები, როგორიცაა „სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს“, „სხვა მხედართმთავრებს“, „თანხმობით“ და მისთანანი, ქმნიან გაუგებრობისა და კინკლაობის საფუძველს. რა დონის თანამდებობანი იგულისხმება „სხვა“-ში

შორს წაგვიყვანდა მსჯელობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნა-გადაყენება-ანგარიშვალდებულებების შესახებ, ასევე, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის გადაყენების, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის, ვეტოს გამოყენება-დაძლევის შესახებ, მაგრამ ერთი კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მე-80 მუხლის მე-7 პუნქტში ვკითხულობთ: „...თუ პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს მთავრობის შემადგენლობას, საქართველოს პრეზიდენტი 3 დღის ვადაში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს ახალ არჩევნებს“. ეს მკვდრადშობილი მუხლია. ასეთი რამ საქართველოში არც მომხდარა და არც მოხდება. პარლამენტარები თავის სავარძლებს როგორ შეელევიან?

კონსტიტუციაში უფრო მეტი ნორმითაა გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებები, ვიდრე სახელმწიფოს წინაშე მათი ვალდებულებები.

ვითომც რითაა მიუღებელი 101-ე, 34-ე, 37-ე და 44 მუხლები, რომლებიც ავალდებულებენ მოქალაქეებს საქართველოს დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნვას, ბუნებრივ და კულტურული გარემოს გაფრთხილებას საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობების დაცვას.

ამ წერილში ვსვამ კითხვას: ნუთუ ყირაზე დააყენებდა ქართულ დემოკრატიას, თუ კონსტიტუციაში მოქალაქეთა საარჩევნო უფლების აღიარების პარალელურად გავითვალისწინებდით მათ დავალდებულებასაც სახელმწიფოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობაზე, და აქვე შემომაქვს წინადადება, რომ ასეთი ვალდებულება კანონით დაეკისროს ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს კენჭისყრის უფლება

(გაგრძელება IV გვერდზე)

კანონთა კანონის შუქ-ჩრდილები

(დასასრული)

კონსტიტუციის 73^{1} მუხლი საფუძველს უყრიდა სააკაშვილის გაპუტინებას, როცა პრემიერ პუტინს შეეძლო პრეზიდენტი მედვედევი თავის ჭკუაზე ეტარებინა. ამ მუხლით დადგენილია, რომ „საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა და ამ მუხლის მე-2, მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის „კონტრასიგნაციას", თუმცა, ასეთი არ ესაჭიროება აქტებს, რომლებიც გამოცემულია მთავრობის წარდგინებით, ან რომლებზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა. სააკაშვილი წავიდა, 73^{1} მუხლი კი დარჩა.

ასე აურ-დაურია მრავალჯერ შეცვლილმა კონსტიტუციურმა კანონებმა პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებანი. სხვაგვარად როგორ გავიგოთ ის, რომ პრეზიდენტი მთავარსარდალია და თავდაცვის მინისტრს ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერი, პრეზიდენტი წარმოადგენს „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში" და საგარეო საქმეთა მინისტრს ნიშნავს პრემიერი. პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვერ ნიშნავს დიპლომატებს და მაღალჩინოსან სამხედრო მეთაურებს. პრეზიდენტთან არ მიდიან მინისტრები, პრეზიდენტის პარლამენტის წინაშე ყოველწლიურ ანგარიშს არ ესწრება მთავრობა, პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ვერ დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და ასე შემდეგ. ძალაუფლება ერთი კაცის ხელში არ მოექცესო და ახლა იმდენ ხელშია, რამდენიც კაცია.

მე რომ კანონმდებელი ვიყო, საკონტრასიგნაციო აქტებზე დავაწესებდი ორივე მხარის, პრეზიდენტის და პრემიერის ხელმოწერას. ამით ავიცილებდი ურთიერთგადაბრალების შესაძლებლობებს.

თუ არ ამოჭრით კარგი იქნება მათქმევინოთ, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი ბიჭუნები კამათს და ბუტიაობას დაიწყებენ თუ ვინ მოაწეროს ხელი მარჯვნივ, ვინ მარცხნივ, ვინ მაღლა და ვინ დაბლა. ასეთ შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება პირველ პირს. თუ ვერ გაუგიათ ვინ პირველია და ვინ მესამე, ცუდად ყოფილა მათი საქმე და ორივენი დაიმსახურებენ პანღურს.

ჩემთვის მიუღებელია 67-ე მუხლი, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას ანიჭებს 30000 (ოცდაათი ათას), ხოლო რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ კი 74-ე მუხლი 200000 (ორასი ათას) ამომრჩეველს.

ქვეყნის ხელისუფლება ისე არ უნდა დაყრუვდეს და დაბრმავდეს, რომ ათი ათასობით მოქალაქეს დასჭირდეს თავისმტვრევა და ხელმოწერების გროვება მნიშვნელოვანი საკითხების საკანონმდებლო დონეზე განხილვისათვის. ბოლოს და ბოლოს, საკითხის განხილვა ხომ მის დადებითად გადაწყვეტას არ გულისხმობს?

მნიშვნელოვანი საკითხები მოსახლეობასთან შეხვედრებისას უნდა გამოიკვეთოს და არა მარტო ათიათასობით გაღიზიანებული მოქალაქის მოთხოვნაში.

საჭიროა კანონმდებელმა უფრო კონკრეტულად გამიჯნოს პრეზიდენტისა და პრემიერის ფუნქციები. პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი ზოგადად უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს ყველა ორგანოთა ფუნქციონირებას, მაგრამ მისი მოღვაწეობის ძირითად ფუნქციებში უნდა შედიოდეს ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები და მის უშუალო დაქვემდებარებაში უნდა იყოს ამ გადაწყვეტილებათა ნორმალური ფუნქციონირებისათვის არსებული ყველა რგოლის ხელმძღვანელი, არ უნდა იზღუდებოდეს მისი უფლებები, რომ მოიწვიოს ნებისმიერი თანამდებობის პირი და მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია.

გაუმართლებლად მიმაჩნია ისეთი კუდაბზიკობანა, როცა მინისტრი პრეზიდენტთან არ მიდის პრემიერთან შეთანხმების გარეშე. ქვეყნის ხელმძღვანელებს ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან და არა მარტო პროტოკოლური, ვისაც როგორ უნდა ისე ასწიოს ცხვირი, ხალხმა კი ყოველთვის იცის, ვინ ერეკლეა და ვინ თეკლე. პრემიერის ძირითად ფუნქციებში კი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და შიგაააღმშენებლობის საკითხები უნდა შედიოდეს. ქვეყნის შიგნით იმდენი მოსაგვარებელი საქმეა, რომ მთავრობას როგორც იტყვიან, თავის მოსაფხანი დრო არ უნდა ჰქონდეს და ნაკლებად უნდა ესწრაფოდნენ საზღვარგარეთ ვიზიტებისაკენ. უნდა დაწესდეს საპარლამენტო კონტროლი სახელმწიფოში არსებულ ნებისმიერ უწყებაზე და მათი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე, რადგანაც პარლამენტი არის მისი უდიდებულესობის ხალხის მიერ არჩეული ერთობლიობა, ხოლო მინისტრები და მისთანანი კი წარმოადგენენ ცალკეულ პირთა სიმპათიით შერჩეულ პაიკებს, რომლებიც შეიძლება ცვალო რამდენიც გინდა და რამდენჯერაც გინდა, თუ ისინი შენს ჭკუაზე არ გაივლიან და არ გელაქუცებიან. მე რომ კანონმდებელი ვიყო, კონსტიტუციითვე განვსაზღვრავდი სამინისტროთა რაოდენობებს და სახელწოდებებს. ჩემი თვალსაზრისით, საჭიროა ათამდე სამინისტრო, მათ შორის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო და განათლების. ყველა დანარჩენი დარგების სამართავად შევქმნიდი სახელმწიფო კომიტეტებს ან მონათესავე დარგის სამინისტროების სტრუქტურაში გავითვალისწინებდი დეპარტამენტებს, რომლის ხელმძღვანელობას დავავალებდი მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს.

სიზუსტის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ გამიგონია, რომ თითქმის მილიარდიან ინდოეთს 8 სამინისტრო აქვს. ახლა მიმდინარეობს საუბარი ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ და კარგი იქნება თუ ველირსებით ისეთ კანონებს, რომლებიც მორგებული არ იქნება ერთეულთა ინტერესებს.

წერილი ერთი ანდაზით მინდა დავამთავრო: მამალმა თქვა, მე ვიყივლებ და გათენება ღმერთმა იცისო. ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

რევაზ გრიგალაშვილი

ღია წერილი მეგობარი ქვეყნის მარადჩინოსან მიხეილს, რიგითი ქართველისგან

როგორ ხარ, მიხეილ? ხომ ხარ ისე, მტერს რომ გული გაუსკდეს და მოყვარეს სიხარულისგან გააყრჟოლოს? ჩვენც ვართ ნელ-ნელა, შენგან დავიწყებული. კაცო, მზე და მთვარე ჩვენზე ამოგდიოდა, საქართველოს ხსენებაზე ცრემლით გევსებოდა თვალები და ასე უკანმოუხედავად წასვლა იქნებოდა? ვერ გამოგივიდა ეგ კარგად.

მიხეილ, რამდენიმე დღის წინ გიყურე ტელევიზორში და ოდნავადაც არ შეცვლილხარ, ასე რამ შეგაყვარა ჩაი, რომ დალევის შანსს არ უშვებ ხელიდან? ოდესის კაფე რომ ააფეთქეს და, როგორც გჩვევია, ჯიქურ მიაჭერი, კაფეა, მიდექი-მოდექი, ლუდი მოითხოვე ან კოქტეილი (გუბერნატორ კაცს მაგაზე ვინ გეტყვის უარს) პირდაპირ ჩაის რომ ეცი, მანდაც შევარდნაძე ხომ არ არის?! ისე, შენი მორიდების ამბავი რომ ვიცი, უშაქროს დალევდი. ეგრეც არ შეიძლება, ცოტა თავი დაიფასე, თორემ ხომ ხედავ, მაგ მორიდების გამო ისეთი დაბალი ხელფასი დაგინიშნეს, ეგეთი ანაზღაურება, შენ კი არა ჭიათურის „მაღაროელის" მესამე მეკარეს არ აქვს. ისე, შენც კაი ვინმე ხარ, ხელს რომ აწერდი თანამდებობაზე დანიშვნას, ხელფასის გრაფაში არ ჩაიხედე? ჰოდა, თუ ეგ ხელფასი გეცოტავება, ჩამოდი აქ, შენთვის წყნარად იჯდები, არც ქურდებთან „კაჩაობა" მოგიწევს, ჩაიც უფასოდ გექნება, თუ მოითხოვ კომპიუტერსაც მოგიტანენ და თან გიგის, ვანოს და ბაჩოსაც ინახულებ. დაფიქრდი მიშა, „დარმავოი" ფულზეა ლაპარაკი და თან ალალზე და დაუყვედრებელზე.

ერთი საყვედური კი უნდა გითხრა, შენ რომ თქვი,- მე ვაპირებ ამ საღამოს ჩაი დავლიო კაფეში „У Ангеловых" და სოლიდარობის ნიშნად ამისკენ ოდესელებსაც მოვუწოდებო, მაგ სოლიდარობაზე გამახსენდა, სად იყავი 13 ივნისს? ისე გვჭირდებოდა სოლიდარობა, ვერც წარმოიდგენ, მაგრამ ჩემმა დასაბრმავებელმა თვალებმა ვერ დაგინახეს და დავიჯერო, ჩემს უნახავად გააკეთე რამე?! მართალია პატარა ხელფასი გაქვს, მაგრამ მაგ ხელფასიდან ერთი-ორი გრინვა მაინც გადმოგერიცხა ამ გაჭირვებული ხალხისთვის. ვიცი, შენ დაფარული მადლისკენ ხარ მიდრეკილი და მთელ ხელფასსაც გადმორიცხავდი, მაგრამ ხო იცი, ხალხი როგორია, ამიტომ დაანახე, მიხეილ, დაანახე...

რა წერილში დასაწერია, მაგრამ ეს რა ფარსაგი ამბავი დამართნია სანდრო კვიტაშვილს. როგორ გეიმედებოდა ეგ ბიჭი და არ მოგჭრა თავი მთელი უკრაინის მასშტაბით?! მომეწონა, რომ თქვი, - კვიტაშვილი უნდა გადადგეს და მის მაგივრად მეტად აგრესიული ადამიანი უნდა ვნახოთო. უჰ, გამბურძლა რომ ვუსმენდი, ძველი მიშა გამახსენდა, რომლის შიშით თურმე პუტინს ძილში შფოთვა და სიარული დასჩემებია... სხვა რა გითხრა? ჩვენ როგორ ვართ, კი გეცოდინება, გვენატრები და გვაგონდები. ჩავრთავ ხოლმე შენი გამოსვლის ვიდეოებს და ვუყურებ, იმდენ ცრემლს ვღვრი, ერთჯერადი ხელსაწმენდების კომპანიამ სპეცპრიზით დამაჯილდოვა.

ახლა უნდა დაგემშვიდობო,

გკოცნი ბევრს,

შენი სურამელი

ქართული გენის გაელვება სურამში

(დასასრული)

ლი ქართული ურთიერთობები.

ყველა ასაკისთვის მოიძებნებოდა თავშესაქცევი: ბავშვები ცხენებს დასდევდნენ და ატრაქციონებს სტუმრობდნენ, ახალგაზრდები

ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ შემოქმედებას, ფანდურების, ტამტამების და სხვა საკრავების ხმა ართობდა ფესტივალის დაწყების მომლოდინე სტუმრებს, უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, თუ რომელი ტილო, რეწვის რომელი ნიმუში იყო მათთვის საინტერესო და რომელი შეარჩიეს საჩუქრად.

კონცერტი შუადღისთვის დაიწყო და თემატურად ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა გახსნეს, შემდეგ შიდა ქართლის წარმომადგენლები შეუერთდნენ, რაჭიდან სპეციალურად მოწვეულმა ანსამბლმა"საგალობელმა", დათუნიკა სხირტლაძესთან ერთად, ნამდვილ რაჭულ ფოლკლორს აზიარა მსმენელი. "შავფაროსნებმა" ქართული, საბრძოლო, ვაუკაცური ცეცხლი დაანთეს, გვაჩვენეს, რისი წყალობით გადარჩა ქართული სახელწიფო და გენი გადაშენებას. ემოცია კიდევ უფრო გააძლიერა "ჩვენებურების" გამოსვლამ. "-ფრანმა" ფესტივალის დასკნითი აკორდი აიღო და ღამის სურამმა კიდევ ერთხელ იგრძნო, რამხელა საჩუქარი გაუკეთა არტ-გენმა.

ერთნაირად კმაყოფილი იყვნენ, ორგანიზატორებიც, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც,ფესტივალის მონაწილეებიც და სტუმრებიც. არტ-გენმა გაამართლა მრავალკვირიანი მოლოდინი!

გიორგი გურასპაშვილი-ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

-მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა ამ ფესტივალის ხარჯები, ჩვენ ყველანაირად შევეცადეთ და გამოვნახეთ კიდეც თანადაფინანსების წყარო. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა. მიხარია, რომ ამდენ გაღიმებულ სახეს ვხედავ. ასეთი მასშტაბის ფესტივალისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტს არასდროს უმასპინძლია და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ეს შევძელით. ჩვენი მოსახლეობა, სურამი, ხაშური, მთელი რაიონი იმსახურებდა ასეთ დღესასწაულს და მიიღეს კიდეც ეს საჩუქარი. რა თქმა უნდა, გვქონდა ერთგვარი შიში, რადგან გამოცდილება გვაკლდა ასეთი მასშტაბებისთვის, მაგრამ ახლა უკვე თამამად ვუყურებთ მომავალს და იმედია, უფრო დიდი ფესტივალის ორგანიზებასაც შევძლებთ მომავალში.

ირაკლი აფხაიძე - ფესტივალის თანაორგანიზატორი და "ჩვენებურების" წევრი:

-ფესტივალი პირველად 2004 წელს გავაკეთეთ, მიზანი, საქართველოში გაფანტული, მივიწყებული ფოლკლორი და რეწვის ნიმუშების დაბრუნება და შენარჩუნება იყო, რომელიც დროსთან ერთად იკარგებოდა. თავდაპირველად თბილისით შემოვიფარგლებოდით, 2007 წლიდან რეგიონებშიც გავედით, რაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. წელს სურამი შევარჩიეთ და, ჩემი აზრით, გაამართლა, შევარჩევთ საუკეთესო ფოლკლორულ ანსამბლს, ინდივიდუალურ შემსრულებელს, რეწვის საუკეთესო ნიმუშს, რომელიც უკვე თბილისში, ეთნოგრაფიის მუზეუმში გამართულ დასკვნით კონცერტში მიიღებს მონაწილეობას."

სადღაც კუთხეში მოხუცი მამაკაცი იჯდა, წინ გაშლილი მუსიკალური საკრავებით, დაკვირვებით უყურებდა მისი ნახელავით მოხიბლულ დამთვალიერებელს, გაკვირვებულები რომ უყურებდნენ,პატარა ზომის ფანდურებს,კოლოფის ყუთში

5 ცალი ეტევაო, ეუბნებოდა,მომართულიაო, დიდ შრომას მოითხოვსო:

ანზორ ბლიაძე (ბორჯომი):-1985 წლიდან ვაკეთებ ფანდურებს,ბევრმა მათგანმა დიდი მოწონება დაიმსახურა მრავალ გამოფენაზე. ვაკეთებ მინიატურულ მოდელებსაც, რომლის კეთება ძალიან დიდ შრომას მოითხოვს. მელიორით მოჩუქურთმებული ფანდურის საშუალო ღირებულება 250 ლარია, ცაცხვისგანაა დამზადებული და საუკეთესო

ჟღერადობა აქვს. სამწუხაროდ, დღეს ნაკლები მოთხოვნილებაა და თითქმის ვეღარც ვაკეთებ. ძალიან გამიხარდა, როცა ამ ფესტივალზე დამპატიჟეს,მომავალ თაობას შეგვიძლია, ვაჩვენოთ, რა კულტურული სიმდიდრის პატრონები ვართ, რითი შეგვიძია ვიამაყოთ. გული მწყდება, რომ ჩემი საქმის გამგრძელებელი ძალიან ცოტაა საქართველოში.

ლაშა ნინიაშვილი (ხაშურის მცხოვრები):

-რაიონის მოსახლეობა, სამწუხაროდ, არ ვართ განებივრებული ასეთი ფესტივალებით,არც ველოდი, რომ ასეთი ორგანიზება იქნებოდა და ასეთი სანახაობრივი გამოდგებოდა. რამხელა სიმდიდრე გვაქვს ქართველებს, რაც შეგვიძლია ერთმანეთს ვაჩვენოთ და თავი მოვიწონოთ. მხოლოდ თბილისი არაა საქართველო, რეგიონებში უფრო დიდი კულტურული ფასეულობებია, რომელსაც გამოტანა და ჩვენება უნდა, რომ არ დაგვავიწყდეს, არ დაიკარგოს, ის რაც ქართულია. ვისურვებდი, ასეთ ფესტივალებს, მუდმივი ხასიათი ჰქონდეს და ხაშურის და სურამის მოსახლეობას მოგვეცეს მსგავსი სიამოვნების განცდის შესაძლებლობა.

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული... დასანანია, როცა სრულდება ის, რამაც მხოლოდ კარგის, ამაღლებულის განცდა დაგიტოვა, რომელსაც ელოდი და "მოსვლა" გაამართლა. თუმცა, იმედი მაქვს, ამით არ სრულდება, არტ–გენი იყო ერთგვარი ტესტი, რომელიც მომავალში საფუძველი გახდება არაერთი ფესტივალის სტუმარ-მასპინძლობის.

თამარ ჯავახიშვილი

ის ახსოვს ქვიშხეთს

ქვიშხეთში თიბათვის სურნელი ტრიალებს...სოფლის ცენტრში თავმოყრილი ახალგაზრდები, იქვე, მაღალ ადგილზე გაკრულ აფიშას კითხულობენ. ის ახსოვს ქვიშხეთს...

მურად ღონღაძის ხსოვნის საღამო.

ქვიშხეთის კულტურის სახლი და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი, ქვიშხეთელებს მურად ღონღაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ეპატიჟება... და აი, 2015 წლის 28 ივნისი. ქვიშხეთის კულტურის სახლში ხალხმრავლობაა. მონიტორიდან მურად ღონღაძე გვიმზერს... ამ სახლის ყოფილი მამასახლისი... ლოტბარი, რომელსაც დღემდე არ გამოუნდა შემცვლელი.... პიროვნება, რომელიც, მიუხედავად ათასგვარი ქარტეხილისა „წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე..." „არდავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა"... იცის ეს ქვიშხეთმა... ამ კაცს ხომ ქუდად ქვიშხეთის ზეცა ეხურა და, მიწა მისი ეცვა ქალამნად...

ხსოვნის საღამო საგალობლით გახსნა ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიასთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა (მედეა კაკიაშვილი, აზა ჩაჩანიძე, ნინო გოგალაძე)... ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერა, ცეკვა, სიტყვა... მურად ღონღაძე-ოფიცერი, ტოპოგრაფი, ფეხბურთელი, მსახიობი, პედაგოგი, მხატვარი, პოეტი, თავისი ქვეყნის დიდი მოყვარული, ქართული ხალხური ფოლკლორის გულშემატკივარი და მოამაგე. სწორედ ამ სფეროს ემსახურა დიდი რუდუნებით და ცოდნის მარცვალი მარგალიტებად აბნია მომავალი თაობის წიაღში... ყოველივე ამაზე, ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, მისი ყოფილი კოლეგა, მანანა ჩხეიძე ესაუბრებოდა დამსწრე საზოგადოებას...

ფორტეპიანო, სალამური, ფანდური, ჩონგური, გიტარა, ალფა, კონტრაბასი,აკორდეონი, გარმონი.. ყველა ამ ინსტრუმენტს ფლობდა და იმორჩილებდა მისი ფაქიზი სული და ხელი. მან პირველმა ჩამოაყალიბა ქვიშხეთში ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი და არაერთი ლამაზი ფურცელი შემატა ქვიშხეთის კულტურული ცხოვრების ისტორიას. რესპუბლიკური ფესტივალების ცხრაგზის ლაურეატს გაბედულად გაჰყავდა თავისი აღზრდილები რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, საიდანაც ყოველთვის წარმატებულები ბრუნდებოდნენ. (ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება მისი საინტერესო არქივი).

ღონისძიება მუსიკალური ნომრებით გაალამაზეს მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა: გიორგი შუბითიძემ, გიორგი გრიგალაშვილმა და აწ უკვე კონსერვატორიის სტუდენტმა ლევან ტაბატაძემ. (ლევანის წარმატებებზე ცალკე უნდა დაიწეროს.) მურად ღონღაძის ხსოვნას, მუსიკალური ნომრებით პატივი მიაგო ცხინვალელმა ჟურნალისტმა, პოეტმა და მუსიკოსმა, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა შოთა დარბუაშვილმა. მასზე, როგორც ხალასი იუმორის გრძნობით აღსავსე, მრავალი საუკეთესო თვისებითა და ნიჭით დაჯილდოებულ მეგობარზე, ისაუბრეს: ხაშურის საკრებულოში ქვიშხეთის წარმომადგენელმა დეპუტატმა, მურად ღონღაძის უახლოესი მეგობრის, ერთ-ერთი ქვიშხეთელი კოლორიტის, ომარ ჩაჩანიძის ვაჟმა-არჩილ ჩაჩანიძემ. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ამაგდარმა მეცნიერმუშაკმა, ისტორიკოსმა, „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთი"-ს თანაავტორმა, ლოტბარის ბავშვობის მეგობარმა, გივი გელაშვილმა,ათეული წლების მანძილზე ქვიშხეთის საკრებულოს ყოფილმა თამჯდომარემ, ისტორიკოსმა,„ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთი-ს"ავტორმა კლიმენტი სუთიაშვილმა,ქვიშხეთის კულტურის სახლის ამჟამინდელმა დირექტორმა, პოეტმა და მხატვარმა-ალეკო ღონღაძემ, მურად ღონღაძის ყოფილმა მოსწავლემ,ისტორიკოსმა ჯამბულ გლუნჩაძემ და სხვ. კულტურის მუშაკებს თანადგომა გამოუცხადეს და ყოველივე ეს კეთილშობილური ჟესტით გამოხატეს ქვიშხეთის ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელმა მალხაზ ღონღაძემ და სპეციალისტმა მარიამ კიკაძემ.

ხსოვნის საღამოზე საინტერესო პროგრამით წარსდგა ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდა". (ხელმძღვანელი ანდრო ტაბატაძე)

1970-იან წლებში ქვიშხეთის კულტურის სახლს ხელმძღვანელობდა მეტად საინტერესო ქალბატონი-ნინო გოგიბერიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქვიშხეთის კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებაში.მან ჩამოაყალიბა ქვიშხეთის თეატრალური დასი, რომელშიც სხვა ქვიშხეთელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა მურად ღონღაძე. ერთ-ერთი ასეთი სცენა გახლდათ ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი"(რეჟისორი როინი ღონღაძე). ამ სცენარში გიორგის როლს მურად ღონღაძე ასრულებდა, ოთარაანთ ქვრივისას - თამარ ჯიოშვილი, რომელიც თბილისიდან საგანგებოდ ჩამობრძანდა, რათა დაუვიწყარი წუთების გახსენებით პატივი მიეგო მეგობრის ხსოვნისთვის. (დღესაც ტკივილით იხსენებენ ქვიშხეთელები, თამარის ვაჟის, თეატრალური დასის ყველაზე პატარა მონაწილის, 11 წლის რევაზ ტყემალაძის ტრაგიკულ აღსასრულს. სწორედ ამ უბედურმა შემთხვევამ განაპირობა ქვიშხეთიდან მათი ოჯახის გადასვლა თბილისში.) -მე ბედნიერი ვარ და თან ძალიან ამაყი! - ამ სიტყვებით მიმართა საზოგადოებას მურად ღონღაძის დისშვილმა, პოეტმა და პედაგოგმა მარიკა ორჯონიკიძემ. მან ლოტბარის დედმამიშვილებისა და მათი შვილების სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ესოდენ კეთილშობილურ საქმეში.

დღემდე ცრემლშეუშრობელ თვალში დღეს, სიხარულის, სიამაყის და მადლიერების სხივი უკრთოდა ქალს, რომელსაც არამარტო მოვალეობა და უღელი აკავშირებდა ხელოვანთან, არამედ დიდი პატივისცემა და სიყვარული. იგი იყო მისი დიდი გულშემატკივარი ტკივილსა და სიხარულში. სოფლის დამსახურებულ ბიბლიოთეკარს, არაერთი ღონისძიების ინიციატორს,კარგად ესმოდა, რომ სწორედ უჭამობის ჟამს სჭიროდა სოფელს მათი თანადგომა. სწორედ დიდო გელაშვილის დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია, რომ სუმბათაშვილების სასახლიდან ავარიული მდგომარეობის გამო უსახლკაროდ დარჩენილი „კულტურის სახლი", უფუნქციოდ დარჩენილ ლევან თედიაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზში განთავსდა... მანამდე კი მურად ღონღაძის ოჯახი იყო კულტურის კერა ხალხურ საკრავთა შესწავლის მსურველი ბავშვებისათვის. (თვითმხილველი ვარ, როგორ უშრობდა ღუმელთან წინდებს თოვლ-ჭყაპში დასველებულ ბავშვებს ქალბატონი დიდო)

„ ... ჩემგან გამოვლილ ჭირისათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანადგომისთვის... არ მიხმარია ამის მეტი ჯადო-თილისმა..."ორივეს თამამად შეეძლოთ გამოეყენებინათ შექსპირის ეს სიტყვები. მათ სიყვარულზე ხომ ლეგენდები დადიოდა ქვიშხეთში...

ღონისძიებას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი და მისი მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე. ასევე, ხაშურის კულტურის სახლის წარმომადგენლები. მათ დადებითად შეაფასეს ღონისძიება და მრავალი საინტერესო დღე უსურვეს ქვიშხეთელებს.

ის ახსოვს ქვიშხეთს

ის ახსოვს ქვიშხეთს...
დღესაც ეს ცა ისე ლურჯია,
ისე სუფთაა, როგორც მისი
სულის სარკმელი,
სოფლის სინდისად
მონათლულ კაცს
გზა გაუვლია,
სად ყოველ ნაბიჯს
სდევდა სუნი,-
სანთელ-საკმევლის!..

კლარა გელაშვილი.

სურათებზე: გადაღებულია როლის შესრულების დროს. სცენა სპექტაკლიდან „ოთარაანთ ქვრივი". ფეხზე დგას მურად ღონღაძე (გიორგი), ქვემოთ შალვა გომარელი; წინა პლანზე, (მარჯვნიდან) მურად ღონღაძე, გივი კვინიკაძე (დგას) და ლაურა ღონღაძე.

<u>მადლით ნაშენები ქვეყანა</u>

რკინიგზის პროფკავშირებისა და რესპუბლიკური საავადმყოფოს საჩუქარი ხაშურელებს!

ყველა ადამიანს ერთნაირად ეძლევა უფლისაგან სიკეთეც და ბოროტებაც, მთავარია, თვითონ ადამიანი რომელს განავითარებს საკუთარ თავში. ამბობენ, რომ სიკეთე უფრო რთული საკეთებელია, ბევრი წინააღმდეგობებით, მაგრამ დიდი სულიერი კმაყოფილებით გავსებს ადამიანს. ეს ჩვენი, ქართული გენეტიკაა. ცოტანი ვართ, ძალიან ცოტანი-აქ მადლიც და ბოროტებაც ადვილად დასანახია.

4-5 ივლისს, საქართველოს რკინიგზის პროფკავშირებმა, არა მხოლოდ რკინიგზელებს და მათი ოჯახის წევრებს, არამედ მთლიანად ხაშურის მოსახლეობას, მორიგი საჩუქარი გაუკეთა, უფასო სამედიცინო დახმარების სახით. რესპუბლიკური საავადმყოფოს საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც ორი წელია ძალიან დიდ ქველმოქმედებას ეწევა საქართველოს მასშტაბით(კონფლიქტის ზონების ჩათვლით), უანგარო სამედიცინო კონსულტაციები და ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარეს მოსახლეობას. აქცია საქართველოს რკინიგზის პროფკავშირებსა და რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ჩატარდა. ორი დღის განმავლობაში, ექიმების 17 კაციანმა შემადგენლობამ(ნერვოლოგი, ნევროპათოლოგი, ქირურგი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, ექოსკოპისტი, ლაბორატორია), სამედიცინო დახმარება გაუწია ყველა სოციალური ფენისა და ასაკის ადამიანებს, მოახდინეს მათი ინფორმირება სადაზღვეო პროგრამებთან დაკავშირებით და მედიკამენტები გადასცეს. ექიმების თბილმა მიღებამ, პროფესიონალიზმმა, მოსახლეობის დიდი კეთილგანწყობა გამოიწვია. მძიმე სამედიცინო დიაგნოზის პაციენტებს, რკინიგზის პროფკავშირმა სახელმწიფო პროგრამებთან ერთად, დახმარება აღუთქვა.

ზურაბ ნასარია-საქართველოს რკინიგზის პროფ.კავშირის თავმჯდომარე:

-წელს, რკინიგზის პროფკავშირს 110 წლის იუბილე აქვს. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სოციალური პროექტი დავგეგმეთ. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობა და მათი უფასო სამედიცინო გამოკვლევაა. ასევე, სურამსა და ქობულეთში დასვენება შეღავათიანი პირობებით, ყველა რკინიგზელთათვის. ვგეგმავთ სოციალური ტიპის პროექტს, იმ სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, რომლებიც ჩვენ ზრუნვას და ყურადღებას მოითხოვენ. კონცერტით და საჩუქრებით, მათი ერთი ჩვეულებრივი დღის გალამაზებას შევეცდებით.

რაც შეეხება, დღევანდელ სამედიცინო აქციას, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ეს რიგით მესამეა. თბილისის და სამტრედიის შემდეგ(რადგან ხაშური ძალიან საყვარელი ქალაქია ჩემთვის), გადავწყვიტეთ, ხაშურის მოსახლეობისთვისაც გაგვეკეთებინა საჩუქარი. ხოლო რკინიგზელთათვის გვაქვს დამატებითი სამედიცინო შეღავათები. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყველა რკინიგზელს გაწეული სამედიცინო დახმარება 50%-ით აუნაზღაურდება, მათ შორის მედიკამენტებიც(400 ლარის ფარგლებში).

მაკა ბულეიშვილი -პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

-ორი წლის წინ,გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ,გადავწყვიტე გამეკეთებინა საინიციატივო ჯგუფი,რომელიც საშუალებას მომცემდა დავხმარებოდი იმ რეგიონებს და ადამიანებს,რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ. შემომიერთდნენ ჩემი მეგობრები,რომლებთან ერთადაც უკვე 32 რეგიონი მოვიარეთ. ვიყავით საქართველოს მაღალმთიან სოფლებში, ხევსურეთში, პანკისის ხეობაში, ჩხოროწყუს სოფლებში, სადაც ადამიანებს ყველაზე მეტად ჭირდებათ სამედიცინო დახმარება და ადამიანური თანადგომა. არც საზღვრისპირა რეგიონები დაგვრჩენია უყურადღებოდ. ძალიან მიხარია, რომ რკინიგზის პროფკავშირების დახმარებით, მომეცა საშუალება, ხაშურის მოსახლეობასაც დავხმარებოდი,

რადგან ხაშური ჩემი დედულეთია და ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. მზად ვარ,მომავალშიც საჭიროების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად დავეხმარო ჩემს ხაშურელებს.

P.S. მიუხედავად ჯანდაცვის მრავალი პროგრამისა, რომელიც ნამდვილად კარგად მუშაობს და საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამ, ორდღიანმა აქციამ, ხაშურის მოსახლეობას დაუტოვა განცდა, რომ სახელწიფოს გარდა, არსებობენ ადამიანები, ორგანიზაციები, რომელთათვისაც მათი კეთილდღეობა მნიშვნელოვანია!

<u>საქართველოს რკინიგზის პროფკავშირები, ყველა რკინიგზელს მოუწოდებს, ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით, ინფორმაციისათვის, მიმართონ ხაშურის რკინიგზის პროფკავშირების ორგანიზაციას, ქ.ნ. ნინო ბეჟანიშვილს: ტელ: 16-35-69.</u>

მეზობელო კარისაო...

არავისთვის უცნობი არაა, რომ ქართველების ყველაზე დიდი დიასპორა დღეს საბერძნეთშია. ისინი ათასგვარ სირთულესთან ერთად, სამშობლოს მონატრების უსაშველო დარდსაც ებრძვიან და ერთმანეთთან სიახლოვით, ერთმანეთის სიყვარულით იქარვებენ ნოსტალგიურ სევდას. საბერძნეთში გამომავალი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „ელადა“ სწორედ ამ სევდასთან შეჭიდების ერთ-ერთი საშუალებაა. ჟურნალი უკვე წლებია პერიოდულად გამოდის. ერთ-ერთ ბოლო ნომერში, პატარა წერილი საშურელ ქალბატონს, ცნობილ მუსიკოსს და შემოქმედს ნანი გაჩეჩილაძეს ეძღვნება. მისი ავტორი კი შესანიშნავი პოეტი თინა ნადირაძე გახლავთ. დღეს უცვლელად გთავაზობთ ამ წერილს:

დიდი ხანია, რაც ჩემს ქვეყანას გამოვემშვიდობე და დავტოვე ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. შორეულ საბერძნეთში, შრომაში ჩაბმულმა, ვერც კი გავიგე, როგორ გამეპარა წლები.

ვისაც ემიგრანტული ცხოვრება გამოუცდია,მან კარგად იცის,რა მტანჯველია ნოსტალგია, შორეულ ქვეყანაში უფრო კარგად ხვდები,რა ძვირფასია შენი ქვეყანა და ახლობლები, მეზობელი,რომელიც ყოველ დილით გაგიღიმებს და „დილა მშვიდობისას“ გისურვებს, ჭირშიც შენ გვერდითაა და ლხინსაც პირველი ის იზიარებს.

ეს პატარა წერილი საქართველოში ჩემს მეზობლად მცხოვრებ ერთ სულით ლამაზ და კეთილ ქალბატონს, ნანი გაჩეჩილაძეს ეძღვნება, რომელმაც თავისი სიკეთით ბევრს გაუნათა გული, ბევრი მადლიერი ჰყავს და მის სახელს დაუფარავი სიხარულით და სიყვარულით ახსენებს. იგი მართლაც ერთ-ერთი თვალმარგალიტია ხაშურის რაიონის ინტელიგენციისა.

ქალბატონმა ნანიმ მრავალი ახალგაზრდა გამოზარდა და დააყენა ცხოვრების სწორ გზაზე. თავადაც ბრწყინვალე შვილი გაუზარდა ქვეყანას, რომელმაც კარგი ოჯახი შექმნა და ხუთი შვილიშვილითაც გაახარა დედა.

ნანის მადლიერთა შორის მე ერთ-ერთი პირველი ვარ,რადგან თავისი მზრუნველობით ყოველთვის იდგა ჩემი შვილის გვერდით. როდესაც ჩემს ქალიშვილს საშინელი სენი შეეყარა,ნანი გამამხნევებელ,დედობრივ სიტყვებს არ იშურებდა მისთვის. მასთან ტელეფონით საუბარი მეც იმედს მინერგავდა გულში. მისი სიტყვები: „შენი შვილი, იცოდე, ჩემიც არის და პირობას გაძლევ, ყოველთვის მის გვერდით ვიქნები, უდედობას არ ვაგრძნობინებო“, დღესაც არ გამომდის ყურებიდან.

ქართველებს, ზოგადად, მეზობლებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, ვიცით მისი ფასი, ვიცით, რომ თუ გაგვიჭირდა, სისხლით ნათესავზე ადრე ის მოირბენს დასახმარებლად, გასამხნევებლად. „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, ესეც ქართული ანდაზაა და ჩვენს განწყობას გამოხატავს.

ჩემო ძვირფასო ქალბატონო ნანი, შორეული საბერნეთიდან გილოცავთ ზაფხულის მობრძანებას, გისურვებთ ჯანმრთელობას, შვილის, რძლისა და შვილიშვილების ბედნიერებით გახარებას. დიდხანს გეცოცხლოთ არა მხოლოდ თქვენი ოჯახის, არამედ ჩემი და ჩემი შვილის საიმედოდაც, ისევე, როგორც მრავალი თქვენ გვერდით მყოფისა, მრავალი ბავშვი აღგეზარდოთ კიდევ და კიდევ!..

ამ პატარა წერილს ვატან იმ დიდი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობას, რომელიც თქვენს მიმართ გამაჩნია.

იმედია, მალე დავბრუნდები„ დილით ადრე კარზე მოგიკაკუნებთ და გეტყვით: „დილა მშვიდობისა“ ქალბატონო ნანი, როგორ ბრძანდებით?..“

თინა ნადირაძე

შიდა ქართლი 9 ივლისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა

მოსახლეობისთვის ცნობილია,რომ 2006 წლის ჟენევის ხელშეკრულების საფუძველზე,საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა. ეს პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება და ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში უკვე დაიწყო. შიდა ქართლი ამ პროცესს 9 ივლისს შეუერთდა. მანამდე კი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები. სწორედ ასეთი შეხვედრა გაიმართა 6 ივლისს ხაშურში, რომელზეც ციფრული მაუწყებლობის საკითხებთან და მომხმარებლების უფლებებთან - დაკავშირებით მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

შეხვედრაზე მოსახლეობამ ამომწურავი ინფორმაციები მიიღო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

“ფრესკა” - "ქართული სულის" ზეიმი

დასრულდა... თუმცა, შთაბეჭდილებები ისევ ახსოვს ხაშურის საზოგადოებას, რომელმაც 30 ივნისს "ქართული სულის" ზეიმი იხილა-სცენაზე იდგა ელენე რატიანი! ერთი წლის წინ დაგეგმილი კონცერტი, 13 ივნისს გარდაცვლილების წუთიერი დუმილით პატივის მიგებით გაიხსნა. შემდეგ იყო პოეზია, იყო "ბასიანის" ქართული მრავალხმიანობა, "ციცინათელას" ტკბილხმოვანება და იყო ცეკვა, ნამდვილი ცეკვა-ცეცხლი ქართული. ანსამბლმა "ფრესკა"-მ საქართველო მოიტანა თავისი ისტორიით, თავისი კდემით, სისადავით და კულტურული სიდიადით. ეს ელენე რატიანის და ბავშვების დანახული საქართველო იყო. პოეტმა მზია ხეთაგურმა ლექსით გამოხატა ემოცია, პოეტმა მანანა დანგაძემ გაიხსენა ელენე რატიანთან შეხვედრის იუმორისტული ისტორია და ლექსი მიუძღვნა ქართველი ქალის მშვენების გამოვლინებას ელენეს სახით. ორი ნომერი ელენემ შეასრულა, ერთი შვილთან, მეორე თანამედროვე მოტივებზე, ფატი სადაღაშვილის აკომპანიმენტით.

მთავარი და ყველაზე დიდი საქმე, "ფრესკა" სახე რატიანების და სახე საქართველოსი, ბავშვური გულწრფელობით და "ქართული სულით" აბედნიერებდა ხაშურელ მაყურებელს. ელენე რატიანი - ერთი წელია ამ კონცერტისთვის ვემზადებით, 13 ივნისს განვითარებული მოვლენების შემდეგ, გადავწყვიტეთ, საქველმოქმედო დატვირთვა მიგვეცა. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, ანსამბლ "ბასიანს" სტუმრობისთვის და გვერდში დგომისთვის, ყველა იმ ადამიანს, რომელიც დამეხმარა და დღეს ჩემი სიხარულის მონაწილეა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ანსამბლი "ფრესკა" აგვისტოში საბერძნეთში მიემგზავრება, სადაც "ქართული სულის" უკვდავებას ცეკვით გააცოცხლებს ბერძენი მაყურებლის წინაშე. წარმატებებს ვუსურვებთ ელენე რატიანს და "ფრესკას",და დაველოდებით მორიგ გაბრწყინებას ხაშურის მაყურებლისათვის!

თ. ჯავახიშვილი

"ნამდვილი მამაკაცი" ხაშურის სცენაზე

7-8 ივლისს ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრთან არსებულმა თეატრმა, გამართა სპექტაკლის პრემიერა "ნამდვილი მამაკაცი", მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლი საიუბილეო ხასიათის იყო და ეძღვნებოდა მსახიობ ანზორ გაჩეჩილაძის 60 წლის იუბილეს. ბატონ ანზორს კარგად იცნობს ხაშურის თეატრის მოყვარულთა საზოგადოება. მან მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა თეატრში თავისი მოღვაწეობის მანძილზე და ღირსეულად დაიმსახურა მაყურებლის სიყვარული. პიესის ავტორმა და რეჟისორმა, გურამ კაპანაძემ, ნიჭიერ მსახიობებთან: ანზორ გაჩეჩილაძესთან, ინგა მეტრეველთან, ელზა დოფიძესთან, ელდარ გოგალაძესთა,ნ ლია ცხვირაშვილთან, მიხეილ გაჩეჩილაძესთან და გაბრო მახარაშვილთან ერთად, დაუვიწყარი სპექტაკლი აჩუქა ხაშურს. სასიამოვნო მუსიკალურმა და მხატვრულმა გაფორმებამ, კოსტიუმებმა, კიდევ უფრო გაამდიდრა სპექტაკლის შინაარსობრივი მხარე. თემატიკა ნაცნობი და მტკივნეული. ერთი შეხედვით, ბანალური სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობები ესპანური ტემპერამენტით, ზუსტად იმეორებდა და ძალიან გავდა ქართულ ხასიათს. ოჯახმა ფინანსური პრობლემების გამო,საკუთარი ერთადერთი ქალიშვილი, თავისზე ასაკით უფროს მამაკაცს მიათხოვა და იწყება ოჯახური დრამა. ქალი იყო ნამდვილი ქალი, თავისი ქალური, რომანტიული ბუნებით და სურვილი-ელაპარაკონ სიყვარულზე, ელაპარაკონ ბევრი, ქცევაში გამოხატვის ნაცვლად-ერთადერთი მოთხოვნილება საყვარელი მამაკაცის მიმართ. და მამაკაციც იყო მამაკაცი, რომელიც ქალის რომანტიულ ბუნებას, რომანების კითხვით გამოწვეულ სისულელედ თვლიდა და მამაკაცური ამპარტავნებით და სიამაყით ხაზს უსვამდა თავის "ნამდვილ მამაკაცურ" ბუნებას. არაფრად აგდებდა ცოლის მცდელობას, ეეჭვიანებინა საყვარელი მამაკაცი იმ “ფინიების” მეშვეობით, რომლებმაც უარყვეს მისი სიყვარული და მისი ფსიქიურად შეშლილობა გამოაცხადეს. მოვლენები დრამატულად განვითარდა, ქალის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, სიყვარულის და ღმერთის არსებობის აღიარებამდე მიიყვანა მამაკაცი და სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულა, თუმცა არასოდეს დაუკარგავს შეგნება “ნამდვილი მამაკაცის”..

სპექტაკლი შედგა! შესანიშნავმა სამსახიობო დასმა ყველაფერი გააკეთა, რომ მაყურებელი ამ ერთმოქმედებიან დრამას მოენუსხა. სასიამოვნოა, რომ ეს კოლექტივი ასე ღირსეულად აგრძელებს იმ უდიდეს თეატრალურ ტრადიციებს, რომელსაც ხაშურში საუკუნის ისტორია აქვს.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.